

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კანონი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (გაზეთი „აჭარა“, №33, 01.03.2007 წელი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ბიუჯეტი, სახელმწიფო ბიუჯეტი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, საბიუჯეტო განაცხადი, საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზი, საშუალოვადიანი ფისკალური პროგნოზი, ბიუჯეტის ხარჯები, პროფიციტი და დეფიციტი, საბიუჯეტო კლასიფიკაცია, ასიგნება, გრანტი, სესხი, მიმდინარე საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები, კაპიტალური შემოსავლები – „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული განმარტებების მიხედვით.“

2. მე-18 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებული და საგანგებო ხარჯების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, დამტკიცებული ფიქსირებული ასიგნებების 2%-ის ფარგლებში, რომლის განკარგვის მიმართულებებს ადგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.“

3. 26-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლებიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიან ეკონომიკურ ნორმატივებსა და საჭიროებისას ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილ სახსრებს;“

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველი ასიგნება უნდა იქნეს დაკონკრეტებული, ხოლო პროგრამები – შედგენილი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.“

4. 27-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 27. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის წარდგენა და დამტკიცება

1. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტსა და მთავრობის მოხსენებას მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ წარადგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ან მთავრობის რომელიმე წევრი შესაბამისი სამართლებრივი აქტით მიღებული დავალებით.

2. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ახალი საბიუჯეტი წლის დაწყებამდე (გამონაკლის შემთხვევებში არა უგვიანეს 1 მარტისა) ამტკიცებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონი და მისი დანართები ქვეყნდება დადგენილი წესით და ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.“

5. 33-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. უმაღლესი საბჭოს სხდომაზე რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის შემდეგ, უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებას რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.“.

6. 34-ე მუხლის მე-4–მე-6 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე

ბათუმი,
2007 წლის
№

არსებული რედაქცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და
უფლებამოსილებათა შესახებ

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1. ადგილობრივი ბიუჯეტი, ბიუჯეტი, სახელმწიფო ბიუჯეტი, საბიუჯეტო განაცხადი, საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზი, საშუალოვადიანი ფისკალური პროგნოზი, ბიუჯეტის ხარჯები, დეფიციტი და პროფიციტი, საბიუჯეტო კლასიფიკაცია, ასიგნება, გრანტი, სესხი, მიმდინარე საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები, კაპიტალური შემოსავლები – „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული განმარტებების მიხედვით.

მუხლი 18. რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

1. რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებული და საგანგებო ხარჯების დასაფინანსებლად შეიძლება შეიქმნას სარეზერვო ფონდი, ფიქსირებული ასიგნებების მოტიანი ოდენობის 2%-ის ფარგლებში, რომლის განკარგვის მიმართულებებს ადგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

მუხლი 26. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის წარდგენა

2. ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარდგენილი რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი (თანდართულ მასალებთან და ელექტრონულ ვერსიასთან ერთად) მოიცავს:

დ) საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლებიდან ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიან ეკონომიკურ ნორმატივებსა და საჭიროებისას – ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილ სახსრებს;

4. რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველი ასიგნება უნდა იქნეს დაკონკრეტებული, ხოლო პროგრამები – შედგენილი საკანონმდებლო მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მუხლი 27. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვა და დამტკიცება

1. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტსა და მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ მოხსენებას წარადგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ან მთავრობის რომელიმე წევრი შესაბამისი სამართლებრივი აქტით მიღებული დავალებით. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ასევე ისმენს ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატისა და საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის მოხსენებებს.

2. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სათანადო აქტით ახალი წლის დაწყებამდე, მაგრამ გამონაკლის შემთხვევაში არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის 1 მარტისა, ამტკიცებს რესპუბლიკურ ბიუჯეტს და რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის შემოსავლების განაწილების ნორმატივებს და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირებისათვის შესაბამისი ტრანსფერის მოცულობას.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი, კანონი და მისი დანართები უნდა გამოქვეყნდეს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ, რათა ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისათვის.

მუხლი 29. წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანა

1. კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის განსახილველი პროექტი, რომელიც გავლენას ახდენს რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცებული შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზზე, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ახლავს კანონის პროექტი რესპუბლიკურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე, გარდა ამ კანონის 30-ე მუხლის მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აღნიშნული კანონის პროექტი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ შეიძლება მიიღოს მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარდგენის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული ხელოვნური კანონის პროექტი – ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებული რესპუბლიკური ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ფარგლებში. აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დონისძიება, რომელიც გავლენას ახდენს რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობაზე, დაუყოვნებლივ ან რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მომდევნო კვარტალური ანგარიშის განხილვის დროისათვის მაინც უნდა იქნეს ასახული კანონის პროექტში წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მუხლი 30. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხისმგებლობა

8. მხარჯავი დაწესებულებისათვის გამოყოფილი ასიგნებების მოტიანი ოდენობიდან თანხები ერთი ან მეტი ასიგნებიდან ერთ ან მეტ ასიგნებაზე შეიძლება გადანაწილდეს მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის

მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ამ სახის ასიგნების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს დამტკიცებული ასიგნების ოდენობის 10 პროცენტის ფარგლებში.

მუხლი 33. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშგება

5. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვისა და ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატის მოხსენების შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არა უგვიანეს 15 ნოემბრისა იღებს დადგენილებას რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

მუხლი 34. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების აუდიტი, კონტროლი, ყოველკვარტალური მიმოხილვა და შეფასება

4. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება.

5. რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაცემული სახსრების (მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერტი, საბიუჯეტო სესხი, ურთიერთანგარიშსწორება) გამოყენების კანონიერებაზე კონტროლს ახორციელებენ საქართველოს კონტროლის პალატა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

6. ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატა ახორციელებს რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური ანგარიშის შემოწმებას და შემოწმების შედეგების შესახებ ინფორმაციას წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს. დასკვნაში უნდა აისახოს, თუ რამდენად ზუსტად და სრულად არის წარმოდგენილი ანგარიშგება.